



## აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

### საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი

---

"დამტკიცებულია"

რექტორი                      გიორგი დავთაძე  
აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N  
\_\_\_\_\_ 2011 წელი

"დამტკიცებულია"

დეკანი                      ასოც. პროფ. ზ. არქანია  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N3  
22 იანვარი 2011 წელი

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

**მცირე ბიზნესის მწარმოებელი**

**მეოთხე საფეხური**

ქუთაისი

2011

**I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** მცირე ბიზნესის მწარმოებელი - 020360

**II. პროფესიული განათლების საფეხური:** მეოთხე

**პროგრამის ხელმძღვანელი** – ასოცირებული პროფესორი **ლალი ხარბედია**  
საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: 593 31-15-58  
E-mail: lalikharbedia@mail.ru

**III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მცირე ბიზნესის მწარმოებელის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**IV. პროგრამის მოცულობა:** 60 კრედიტი (1 კრედიტი – 25 საათი) სულ 1500 საათი.  
მათ შორის: თეორიულ კომპონენტს ეთმობა - 30 კრედიტი (750 სთ.).  
პრაქტიკის კომპონენტს - 30 კრედიტი (750 სთ.).

**V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

პროგრამის IV საფეხურზე ჩარიცხვა მოხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე.

**VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია მოამზადოს IV საფეხურის მცირე ბიზნესის მწარმოებელი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს ინიციატივიანი, დამოუკიდებელი საქმიანობა მოგების მიღების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს საწარმოს შემოსავლების გაზრდასა და ბიზნესის შემდგომ განვითარებას. მცირე ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირების საფუძველია ბიზნესის პროცესის მაღალკვალიფიციური მწარმოებელი, რომლის მოქმედების სფერო მოიცავს საწარმოო, სავაჭრო, საფინანსო, მარკეტინგულ, აუდიტორულ, ინოვაციურ, საკონსულტაციო შუამავლობას, გარიგებებსა და სხვა საქმიანობებს. პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროებია: ნებისმიერი დარგის მცირე საწარმოები, მათ შორის: გადამზიდავი, ექსპედიტორული და ლოგისტიკური ფირმები; სავაჭრო, სადისტრიბუციო საწარმოები; საზღვაო-საექსპედიტორო ფირმები და სხვ.

**დასაქმების სფერო**

მცირე ბიზნესის მწარმოებელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ სფეროს სამეწარმეო საქმიანობის ფუნქციონირება, წარმატება, განვითარება.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული კვალიფიკაციის სპეციალისტი, დღეს მოთხოვნადი და აუცილებელია ბიზნესის ნებისმიერი სახისა თუ ფორმისათვის, იქნება ეს წვრილი, მცირე, თუ საშუალო, სახელმწიფო თუ კერძო ბიზნესი.

**VII. სწავლის შედეგი:**

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარ-ჩვევები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცის:  ბიზნეს მათემატიკის საწყისი კურსი;  კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლები:  შესავალი კურსი; საოფისე პროგრამები; ინტერნეტის გამოყენება; ელექტრონული ფოსტის გამოყენება;  ბიზნესის საფუძვლები: ბიზნეს გარემო, ბიზნესის რესურსები და ფაქტორები; 1.4  მცირე ბიზნესის დაგეგმვა და სამეწარმეო გარემო; ბიზნესის შეფასება; მცირე ბიზნესის საქონელწარმოების გენეზისი; დაფინანსებები, ბიუჯეტი, ფინანსური მენეჯმენტი;  საქმიანი ურთიერთობების კულტურის ზოგადი საკითხები მცირე ბიზნესში;  ორგანიზაციული კულტურა;  მცირე ბიზნესის საწარმოს დაგეგმარება, სტრუქტურა და კომუნიკაცია; კარიერის მენეჯმენტი, საშტატო გადაადგილებები; ჯგუფთაშორის ურთიერთობები და კონფლიქტების მოგვარება; ორგანიზაციის განვითარების გზები;  ბიზნეს-კომუნიკაციების საფუძვლები მცირე ბიზნესში: კომუნიკაციური უნარ-ჩვევები; საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება;  კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაბელობა და კონფლიქტების მართვა;  გადაწყვეტილებების მიღება კარიერის დაგეგმვის და მისი განვითარების დროს; იმ სამუშაოს დადგენა, რომელიც დაკავშირებული იქნება პერსონალური და პროფესიული უნარ-ჩვევების მაქსიმალურ რეალიზაციასთან.;  ინგლისურის საწყისი კურსის პროგრამები აცნობიერებს:  მიღებული თეორიული საბაზო ცოდნისა და მისი ეფექტური გამოყენების მნიშვნელობას მცირე ბიზნესის ადმინისტრირების პროცესის შესწავლისა და წარმართვისათვის.</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>აქვს უნარი:  შეასრულოს მარტივი მათემატიკური გაანგარიშებები. განსაზღვროს და ააგოს მცირე ბიზნესისთვის დამახასიათებელი ფუნქციონალური დამოკიდებულებები. გაანალიზოს და გამოიყენოს შედეგები დანიშნულებისამებრ; გამოიყენოს ბიზნესის საფუძვლებისა და მცირე ბიზნესის წარმოების პრინციპების ცოდნა სამუშაოების დასაგეგმად; დაგეგმოს და განავითაროს საქმიანი ურთიერთობები მცირე მოცულობის საწარმოო პროცესების სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე; ხელი შეუწყოს ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებასა და განვითარებას. განავითაროს კვალიფიციური ბიზნეს კომუნიკაციები პარტნიორებთან, კოლეგებთან და კონკურენტებთან; დაგეგმოს მცირე ბიზნესის საწარმოო პროცესში მონაწილე ადამიანური რესურსებისა და პერსონალური კარიერა და იზრუნოს განვითარებაზე;</p>

		შექმნას ჩატარებული და სამომავლო სამუშაოების მონაცემთა ბაზა: გამოიყენოს რელევანტური ბაზების მონაცემები და იზრუნოს ინოვაციური მეთოდების ადაპტაციასა და დანერგვაზე; უსაფრთხო გარემოს შექმნისა და მისი მდგრადი განვითარების ხელშეწყობისა და დაცვის.
<b>დასკვნის უნარი</b>	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	აქვს უნარი: მცირე ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და ზოგადი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროფესიული ანალიზისა და დასკვნების; პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიური აზროვნების; სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პერსონალური მიზნების განსაზღვრისა და დასახვის; მცირე ბიზნესის განვითარებისათვის არსებული ზოგადი საჭიროებების, მათი განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების განსაზღვრის; ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით კომუნიკაციის თავისი პროფესიული საქმიანობის შესახებ, როგორც მშობლიურ ასევე ინგლისურ ენაზე; მცირე სამეწარმეო პროექტის შემუშავების პირობების განსაზღვრა, დაგეგმვა და რეალიზაცია იდენტური სიტუაციების პირობით მოდელირებისას.
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	აქვს უნარი: საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის სრულფასოვანი გამოყენების; ჯგუფური მუშაობის პრინციპების გამოყენებით ეფექტურად მუშაობის; პროფესიული ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და გავრცელების.
<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	აქვს უნარი: ახალი ინფორმაციის მოპოვების; მასალებისა და ტექნოლოგიების შესწავლის, გათავისების, გაზიარებისა და კრიტიკული ანალიზის; პროფესიული ბიზნეს ინფორმაციის იდენტიფიცირების, მოდიფიცირების; გამოყენების შემთხვევაში მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის კუთხით არგუმენტირებული დასაბუთების.
<b>ღირებულებები</b>	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	გააჩნია: პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი; სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვის და დაცვის უნარი პიროვნული პასუხისმგებლობის აღების უნარი საერთო საქმეზე; პატივისცემის გრძნობა კოლეგებისა და პარტნიორების მოსაზრებებისადმი;

		დადებითი დამოკიდებულება უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მქონე გარემოს შესაქმნელად არსებულ ნორმებისადმი და ინიციატივებს იჩენს მათი დაცვის მიმართულებით; აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა პროფესიული საქმიანობისადმი.
--	--	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**VIII. სწავლის შედეგების რუქა:**

სასწავლო კურსები /მოდულები/პრაქტიკა	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
მათემატიკა ბიზნესისათვის	X	X			X	
კომპიუტერული ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	
ინგლისური ენა 1	X	X		X	X	
ინგლისური ენა 2 (ბიზნეს ინგლისური)	X	X		X		
ბიზნესის საფუძვლები	X	X		X		X
გარემო და მდგრადი განვითარება	X	X	X			
ადამიანური რესურსების მართვა	X	X	X	X		
ბიზნეს-კომუნიკაცია	X	X	X	X		
საგადასახადო საქმე	X	X			X	X
ფინანსური აღრიცხვა მცირე საწარმოებში	X	X				X
მცირე ბიზნესის დაგეგმარება	X	X	X			X
ფინანსური მენეჯმენტი	X	X	X			
საწარმოო პრაქტიკა	X	X		X		X

მცირე ბიზნესის მწარმოებელი – IV

IX. სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსების /მოდულები/პრაქტიკა	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა													
			I სემესტრი							II სემესტრი						
			კრედიტი	საკონტაქტო საათები				დამოუკიდებელი საათები	სულ საათების რაოდენობა	კრედიტი	საკონტაქტო საათები				დამოუკიდებელი საათები	სულ საათების რაოდენობა
				ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პროექტის	შუალედური და დასკვნითი/პრაქტიკის შეფასება				ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	საწარმოო პროექტის	შუალედური და დასკვნითი/პრაქტიკის შეფასება		
1	მათემატიკა ბიზნესისათვის	2,5	2,5	9/18			3	32,5	62,5							
2	კომპიუტერული ტექნოლოგიები	2,5	2,5		27		3	32,5	62,5							
3	ინგლისური ენა 1	2,5	2,5	0/27			3	32,5	62,5							
4	ინგლისური ენა 2 (ბიზნეს ინგლისური)	2,5								2,5	0/30			3	29,5	62,5
5	ბიზნესის საფუძვლები	2,5	2,5	9/18			3	32,5	62,5							
6	გარემო და მდგრადი განვითარება	2,5	2,5	9/18			3	32,5	62,5							
7	ადამიანური რესურსების მართვა	2,5	2,5	9/18			3	32,5	62,5							
8	ბიზნეს-კომუნიკაცია	2,5	2,5	9/18			3	32,5	62,5							
9	საგადასახადო საკმე	2,5								2,5	5/25			3	29,5	62,5
10	ფინანსური აღრიცხვა მცირე საწარმოებში	2,5	2,5	9/27			3	23,5	62,5							
11	მცირე ბიზნესის დაგეგმარება	2,5								2,5	5/30			3	24,5	62,5
12	ფინანსური მენეჯმენტი	2,5								2,5	5/25			3	29,5	62,5
13	პრაქტიკა	30														
საწარმოო პროექტი			10			244	6		250	20			494			500
<b>სულ:</b>		<b>60</b>	<b>30</b>	<b>54/144</b>	<b>27</b>	<b>244</b>	<b>30</b>	<b>251</b>	<b>750</b>	<b>30</b>	<b>15/110</b>		<b>494</b>	<b>18</b>	<b>113</b>	<b>750</b>

## X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს;

- ლექციაზე დასწრებას/ სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- საწარმოო პრაქტიკას
- ტესტების ჩაბარებას;
- გამოცდების ჩაბარებას.

## XI. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება დადებითი შეფასებით.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის **დადებით შეფასებას**:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61- 70%;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) ორი სახის **უარყოფით შეფასებას**:

• (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

• (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

5. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

## XII. სწავლების მეთოდები

(სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისათვის შემუშავებულია სწავლების ადეკვატური მეთოდები).

- თეორიული სწავლება;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- ლაბორატორიული სამუშაო;
- სასწავლო პრაქტიკა;
- საწარმოო პრაქტიკა.

**XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ადამიანური რესურსების შესახებ**

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
მათემატიკა ბიზნესისათვის	ა.ბრეგვაძე	ასოც. პროფ.
კომპიუტერული ტექნოლოგიები	ა. ბრეგვაძე	ასოც. პროფ.
ინგლისური ენა 1	ნ. გაგუა	მასწავლებელი
ინგლისური ენა 2 (ბიზნეს ინგლისური)	ნ. გაგუა	მასწავლებელი
ბიზნესის საფუძვლები	ლ.ხარბედია	ასოც. პროფ.
გარემო და მდგრადი განვითარება	მ. ფხაკაძე	ასოც. პროფ.
ადამიანური რესურსების მართვა	მ. ბ ჟალავა	ასოც. პროფ.
ბიზნეს-კომუნიკაცია	ბ. დავითაია	ასისტ. პროფ.
საგადასახადო საქმე	ლ. ხარბედია	ასოც. პროფ.
ფინანსური აღრიცხვა მცირე საწარმოებში	ბ. დავითაია	ასისტ. პროფ.
მცირე ბიზნესის დაგეგმარება	ლ.ხარბედია	ასოც. პროფ.
ფინანსური მენეჯმენტი	ბ. დავითაია	ასისტ. პროფ.
საწარმოო პრაქტიკა	1. ლ. ხარბედია 2. წარმომადგენელი საწარმოდან	ასოც. პროფ.

**XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ**

აქსუ-ს საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტზე მცირე ბიზნესის მწარმოებლის პროფესიული სწავლებისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შედგება :

1. ფაკულტეტის კომპიუტერული ცენტრი.
2. სასწავლო პრაქტიკის აუდიტორია.

**XV. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ჩატარების პირობები და მოთხოვნები**

პროფესიული სტუდენტების პროფესიული დაოსტატების მიზნით გათვალისწინებულია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გავლა. იგი ითვალისწინებს შემენილი თეორიული ცოდნის გაღრმავებას და კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას პრაქტიკულ საქმიანობაში.

პროფესიული სტუდენტები სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას გაივლიან მაღალი სტატუსის მქონე საწარმოში (შ.პ.ს „ლოჯისტიკა“; სატრანსპორტო კომპანია შ.პ.ს. „კავტრექსი ფოთი“; სატრანსპორტო კომპანია შ.პ.ს. „ბლექ სი ტრანსპორტ“; სატრანსპორტო კომპანია შ.პ.ს. “ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია-ფოთი“; შ.პ.ს. “ფოთის პურკომბინატი“). ყველა პრაქტიკანტს ადგილზე ყავს კონსულტანტი და უნივერსიტეტიდან მიმაგრებული ლექტორი.

პრაქტიკის გავლის შემდეგ იწერება ანგარიში. საწარმოო პრაქტიკის პროგრამა შეიცავს სპეციალისტის პროფესიონალად ჩამოყალიბების ძირითად ამოცანებს, რომლის განხორციელებაც აისახება შემაჯამებელ პრაქტიკის ანგარიშში. საწარმოო პრაქტიკის ანგარიშს თან ერთვის ამ ორგანიზაციის მენეჯერის დახასიათება.

#### **XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

პროგრამის წამატებულად დამთავრების შემდეგ მას საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა პროფესიული პროგრამის მცირე ბიზნესის მწარმოებელის მეხუთე საფეხურზე.